

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ა მ ტ ი

აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების
ინსტიტუტის

2017წლის

სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის ანგარიში

ბათუმი 2017

აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი

ინსტიტუტის დირექტორი –

რაულ გოცირიძე

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე -

ზურაბ მიქელაძე

2017წლის სამეცნიერო მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მეცნიერ-თანამშრომელთა რაოდენობა, სულ – 21 ,

მათ შორის:

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – 6

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – 9

მეცნიერ-თანამშრომელი – 6

გამოქვეყნებულ ნაშრომთა რაოდენობა სულ 25, მათ შორის:

სახელმძღვანელო – 0

მონოგრაფია – 1

სტატია საქართველოს რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალებში – 12

სტატია უცხოეთის რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალებში – 12

კონფერენციებში მონაწილეობა სულ –30, მათ შორის:

ადგილობრივი (საერთაშორისო) –17

უცხოეთში (საერთაშორისო) –13

გრანტები სულ 5 , მათ შორის:

სსეფ – ის – 3

საერთაშორისო – 0

სხვა ორგანიზაციების – 2

პატენტები სულ –2 , მათ შორის:

ადგილობრივი –2

საერთაშორისო – 0

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემსრულებლები

რაულ გოცირიძე – ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

I სამეცნიერო განყოფილება - აგრარული და კვების პროდუქტების წარმოების

ტექნოლოგიების განყოფილება:

ზურაბ მიქელაძე - განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

გურამ პაპუნძე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ნინო კიკნაძე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

იამზე ჩხარტიშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

სოფო პაპუნძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

ასლან დევაძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

ნუნუ კუტალაძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

ნინო სეიდიშვილი - მეცნიერი თანამშრომელი;

დოდო აბულაძე - მეცნიერი თანამშრომელი;

II სამეცნიერო განყოფილება - მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილება:

ნინო მხეიძე - განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ვაკანსია - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ზურაბ კონცელიძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

ავთანდილ ცინცქილაძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

ნარგიზ მეგრელიძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

სვეტლანა მხეიძე - მეცნიერი თანამშრომელი;

ლამზირა კონცელიძე - მეცნიერი თანამშრომელი;

ვაკანსია - მეცნიერი თანამშრომელი.

III სამეცნიერო განყოფილება - ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების

განყოფილება:

ალეკო კალანდია - განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

მერაბ არძენაძე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

გულნარა ვერულიძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

ინდირა ჯაფარიძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

სოფო მანჯგალაძე - მეცნიერი თანამშრომელი;

დარეჯან ჩიქოვანი - მეცნიერი თანამშრომელი.

I სამეცნიერო განყოფილება

აგრარული და კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების
განყოფილება

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი- ს.მ.დ. ზურაბ მიქელაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

გურამ პაპუნძე - მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი, სსმა აკადემიკოსი;

ნინო კიკნაძე - მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი;

ასლან დევაძე - უფროსი მეცნიერ - თანამშრომელი;

ნუნუ კუტალაძე - უფროსი მეცნიერ - თანამშრომელი;

იამზე ჩხარტიშვილი - უფროსი მეცნიერ - თანამშრომელი;

სოფიო პაპუნძე - უფროსი მეცნიერ - თანამშრომელი;

ნინო სეიდიშვილი - მეცნიერ - თანამშრომელი;

დოდო აბულაძე - მეცნიერ - თანამშრომელი.

I.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის

2017 წელს დასრულებული პროექტები არ განხორციელებულა

2. გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებელი
1	2	3	4
1.	აჭარაში არსებული ენდემური და ინტროდუცირებული მცენარეული ნედლეულის (სუბტროპიკული, კონტინენტალური ხეხილოვანი კულტურები, ვაზი, ტრის ნაყოფის მომცემი და სამკურნალო მცენარეები) წარმოება-გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის ეფექტური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვის ორგანიზაცია 2016-2020 წწ.	ზ.მიქელაძე გ.პაპუნძე	ნ.კიკნაძე ნ.კუტალაძე ი.ჩხარტიშვილი ა.დევაძე ნ.სეიდიშვილი ს.პაპუნძე დ.აბულაძე თ.გოგოლიშვილი ო. ც.ბოლქვაძე მ.არძენაძე ვ.პაპუნძე ა.კალანდია თ.გორგილაძე შ.ლომინაძე ა.მურვანიძე ო.შაინიძე ნ.ნაკაშიძე მ.ვანიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია			

	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა იყო და აუცილებლად უნდა დარჩეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების მაღალგანვითარებულ რეგიონად. ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობები და მოსახლეობის ტრადიციული მეურნეობრიობა სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური და სისტემური უზრუნველყოფის პირობებში (საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე) უზრუნველყოფს აჭარაში არსებული ენდემური და ინტროდუცირებული მცენარეული ნედლეულის წარმოება-გადამამუშავებისა და რეალიზაციის ისეთი მიმართულებების ჩამოყალიბებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, კონკურენტუნარიანი მრავალი ასორტიმენტის საკვები პროდუქტების წარმოების ბაზაზე.</p> <p>მიუხედავად ადრე განხორციელებული მთელი რიგი სამეცნიერო და ორგანიზაციული ღონისძიებებისა, პრობლემად რჩება რეგიონის მცირემიწიანობის პირობებში ნიადაგების ეროზიული პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური აგრო-და საინჟინრო ტექნოლოგიების მეცნიერულად შესწავლილი რეკომენდაციების განხორციელება. ნაკლებად საინტერესო გახდა როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება, ასევე მათი გადამამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენება. ბოლო ათწლეულების მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა ძირეულად შეცვალა ადრე დამკვიდრებული აგრარული მიმართულებები და ისეთი ძირითადი დარგები, როგორც იყო მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა. ტექნიკური და სამკურნალო მემცენარეობა მეორეხარისხოვან დარგებად გადაიქცა და კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები.</p> <p>ჩვენი მუშაობის მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების, შენახვისა და გადამამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება და მცირე მეწარმეობის პირობებში დანერგვის ორგანიზაცია, რომლის თანმიმდევრულად განხორციელება შესაძლებელი იქნება ეტაპობრივად თემატიკის ფარგლებში განსაზღვრული სამეცნიერო-პრაქტიკული სამუშაოების საფუძველზე.</p>			
	<table border="1"> <tr> <td data-bbox="327 1518 794 1892"> <p>ეტაპი 1.1. აჭარაში გავრცელებული ენდემური და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების შერჩევა, მათი გენოფონდის შენარჩუნებისა და აგრობიოლოგიური ტექნოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლის მიზნით.</p> </td> <td data-bbox="794 1518 1171 1892"> <p>ხელმძღვანელები: ზ.მიქელაძე გ.პაპუნძე</p> </td> <td data-bbox="1171 1518 1466 1892"> <p>შემსრულებლები : ა.კალანდია მ.არძენაძე თ.გორგილაძე</p> </td> </tr> </table>	<p>ეტაპი 1.1. აჭარაში გავრცელებული ენდემური და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების შერჩევა, მათი გენოფონდის შენარჩუნებისა და აგრობიოლოგიური ტექნოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლის მიზნით.</p>	<p>ხელმძღვანელები: ზ.მიქელაძე გ.პაპუნძე</p>	<p>შემსრულებლები : ა.კალანდია მ.არძენაძე თ.გორგილაძე</p>
<p>ეტაპი 1.1. აჭარაში გავრცელებული ენდემური და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების შერჩევა, მათი გენოფონდის შენარჩუნებისა და აგრობიოლოგიური ტექნოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლის მიზნით.</p>	<p>ხელმძღვანელები: ზ.მიქელაძე გ.პაპუნძე</p>	<p>შემსრულებლები : ა.კალანდია მ.არძენაძე თ.გორგილაძე</p>		

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

გაგრძელდა საძიებო სამუშაოები აჭარის და მიმდებარე რეგიონების პირობებში (მათ შორის თურქეთი) არსებული ვაზის ენდემური ჯიშების მოძიება. მიმდინარე საანგარიშო წელს ამ მიზნით გაიგზავნა ექსპედიცია თურქეთში ჯიშმცოდნეშ.გოცირიძე, მთავარი მეცნიერ თანამშრომლის მ.არძენიძის და აგრონომი თ.გორგილაძის შემადგენლობით. მათ მიერ იმერხევის სოფლებში მოძიებული იქნა 20-ზე მეტი ადგილობრივ პირობებში გავრცელებული ვაზის ჯიშები. აღებული იქნა კალმები, რომლის მცნობა საძირეებზე განხორციელდა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აიპაგროსერვისცენტრის ბაზაზე. მიღებული ნერგები დაირგვება სხვადასხვა ნაკვეთებზე მათი შემდგომი ჯიშური იდენტიფიკაციის და აგრობიოლოგიური და ტექნოლოგიური ნიმუშების შესწავლის მიზნით. იმავდროულად იგეგმება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ (მწვანე კონცხზე) მიწის ფართობზე მოეწყოს ადრე მოძიებული ვაზის სხვადასხვა ჯიშების საკოლექციო ნაკვეთი, სადაც წარიმართება ენდემური და ინტროდუცირებული ჯიშების, იდენტიფიცირება და მათი აგრობიოლოგიური ნიმუშების შესწავლა.

ეტაპი 1.2. ენდემური და ინტროდუცირებული ვაზის ყურძნის ბიოქიმიური მაჩვენებლების შესწავლა ღვინისა და სხვა ალტერნატიული პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავების მიზნით.

მინდინარეობს მოძიებული ენდემური და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების ყურძნის ბიოქიმიური მაჩვენებლების შესწავლა. საანალიზოდ ავიღეთ ა.ი.პ. „აგროსერვისცენტრში“ გაშენებული (ქობულეთი) ვაზის ინტროდუცირებული ჯიშების და ჯიდაურას საკოლექციო ნაკვეთში არსებული აჭარაში მოძიებული ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ნიმუშები. ასევე აჭარის მთიანეთში ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე და ექსპოზიციაზე გაშენებული ჩხავერის ყურძნის ნიმუშები.

საანგარიშო პერიოდში (გასული წლის შემოდგომაზე და მიმდინარე წლის) ჩხავერის ყურძნისაგან დამზადდა სხვადასხვა სახის ღვინო.

ღვინის ნიმუშები	სპირტის შემცველობა %	შაქრის შემცველობა %
ჩხავერი ნახევრადტკბილი დამზადებული ბადაგით	11	5
ჩხავერი ლიქიორული დამზადებული ბადაგით	16	32
ჩხავერი ლიქიორული დამზადებული ციტრუსის ყვავილის სიროფით	16	32
ცოლიკაური ლიქიორული დამზადებული ბადაგით	16	32
ცოლიკაური ლიქიორული დამზადებული ციტრუსის ყვავილის სიროფით	16	32

	ოჯალეში ლიქიორული დამზადებული ბადაგით	11	5
	ოჯალეში ლიქიორული დამზადებული ციტრუსის ყვავილის სიროფით	11	5
<p>ნიმუშები წარდგენილი იქნა ინსტიტუტში დეგუსტაციის შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობათა აკადემიაში საერთაშორისო კონფერენციაზე სადაც ზოგიერთმა ღვინომ კერძოდ ჩხავერისაგან დამზადებულმა სხვადასხვა ტიპის ღვინის ნიმუშებმა დაიმსახურა მაღალი შეფასება.</p> <p>ჩვენს მიერ შემუშავებული ჩხავერისა და ცოლიკაურის ღვინის ტექნოლოგიები წარმატებით დაინერგა ქედაში ინდ.მეწარმე შერვაშიძის ღვინის მარანში და წარმოებული პროდუქცია რეალიზებული იქნა ადგილზე სხვადასხვა ქვეყნის აგროტურიზმით დაინტერესებული პირების მიერ.</p>			
	<p>ეტაპი 1.3. სუბტროპიკული და სხვა ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით საერთო და ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება</p>	გ.პაპუნძე	<p>ა.კალანდია ი.ჩხარტიშვილი ვ.პაპუნძე ა.დევაძე მ.არძენაძე ს.პაპუნძე ნ.სეიდიშვილი დ.აბულაძე ც.ბოლქვაძე</p>

	<p>ეტაპი 1.3.1. ციტრუსოვანთა არასტანდარტული ნაყოფის და საწარმოო ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება ნატურალური არომატიზატორების გამოყენებით კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოების მიზნით.</p> <p>საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაოები არასტანდარტული მანდარინიდან სხვადასხვა სახის პროდუქციის დამზადების მიზნით.</p> <p>როგორც ცნობილია სტანდარტული მანდარინის ხვედრითი წილი 40-50%-ის ფარგლებშია. არასტანდარტული ნაყოფის საერთო მოცულობის დაახლოებით 10-12% გადამუშავდება და გამოიყენება სხვადასხვა სახის პროდუქტების საწარმოებლად, რომელთა ნუსხა საკმაოდ მწირია. დანარჩენის ნაწილი დაბალი შესასყიდი ფასებისა და დამზადება-ტრანსპორტირების მაღალი ხარჯების გამო იკარგება, გამოუყენებელი რჩება.</p> <p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მიერ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ციტრუსოვანთა ნედლეულისაგან ისეთი კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავების მიზნით, რომელთა გამოყენება გააფართოებს ასორტიმენტს და კონკურენტუნარიანი სხვადასხვა დანიშნულების კვების პროდუქტების მოცულობას.</p> <p>აქედან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ აქტიურად დაიწყო მუშაობა მანდარინისაგან დამზადებულ პროდუქციაში ნატურალური არომატიზატორების გამოყენების შესაძლებლობაზე. გამოცდილი იქნა ატმის, გარგარის, ბანანის, ანანასის, ფორთოხლის და ა.შ. ნატურალური არომატიზატორები.</p> <p>სხვადასხვა სახის ნატურალური არომატიზატორების გამოყენებით მანდარინის (უპირატესად არასტანდარტული ნაყოფის) ნატურალური წველების, კონცენტრატებისა და რბილობიანი წველების საფუძველზე სხვადასხვა სახის კონკურენტუნარიანმა ნატურალურმა მაღალრენტაბელურმა სასმელებმა დეგუსტატორების მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურეს კერძოდ მანდარინის წვენი ანანასისა და გარგარის არომატით და მანდარინის ნექტარმა ანანასისა და გარგარის არომატით.</p>
	<p>ეტაპი 1.3.2. ციტრუსოვანთა ნაყოფის, სუბტროპიკული ხურმისა და სხვა არასტანდარტული ნედლეულის გამოყენებით პროფილაქტიკური, ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება.</p> <p>მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მუშაობა ძირითადად ტარდებოდა ხურმის ნაყოფის კომპლექსური გადამუშავების საფუძველზე შემუშავებული ნახევარფაბრიკატების: ხურმის ნატურალური წვენის, ხურმის სიროფის, ხურმის კონცენტრატის (ხურმის კონცენტრირებული ექსტრაქტი) გამოყენებით შემუშავებული ფართო ასორტიმენტის პროდუქციის გადამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფი-სათვის. ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციისა და რეჟიმების დასაზუსტებლად.</p> <p>ხურმის კონცენტრატის რძის ფხვნილთან და შაქართან შეხარშვის დროს ყალიბდება კაკაოსათვის დამახასიათებელი გემო, არომატი და ფერი.</p>

სწორედ ამ თვისებების თავისებურებაზე დაყრდნობით შემუშავებული ტექნოლოგიები ხურმის ფართო ასორტიმენტის პროდუქციისათვის, მათ შორის - ხურმა-რძის კონცენტრატი საბავშვო სასმელებისათვის, კონცენტრატი „სამემოდგომო“ სასმელებისათვის, ხურმის ნაჩურთი. მიუხედავად ჩატარებული კვლევითი სამუშაოებისა ეს ტექნოლოგიები მოითხოვდა ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციას, რეჟიმებისა და პარამეტრების დაზუსტებას. ამ პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის თანმიმდევრობა ძირითადად ერთი და იგივეა, განსხვავება არის რეცეპტურებში, თბური დამუშავების რეჟიმებში, კუპაჟის დროს კომპონენტების შეყვანის თანმიმდევრობაში და ნიუანსებში, რომლებიც უზრუნველყოფენ განსხვავებული გემური თვისებების მქონე პროდუქციის მიღებას.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დაზუსტებული იქნა ტემპერატურული რეჟიმები და არის Ph, დადგენილი იქნა კუპაჟის დროს კომპონენტების შეყვანის თანმიმდევრობა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღებაში ვინაიდან ხურმისა და რძის ურთიერთქმედებით თბური დამუშავების ცვლილების მიხედვით და რეცეპტურების გათვალისწინებით მიიღება განსხვავებული ხარისხისა და გემური თვისებების მქონე პროდუქტები.

დამზადებული იქნა საცდელი ნიმუშები ჩვენს მიერ დაზუსტებული ტექნოლოგიური გადამუშავების პროცესების მიხედვით, შემუშავდება დაზუსტებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია.

მურაბისა და ცუკატის დამზადების ტექნოლოგია გულისხმობს ნაყოფის გაჯერებას შაქრის სიროფში ხარშვით 70-75% მშრალი ნივთიერების შემცველობამდე შემდეგი შრობით 83% მშრალ ნივთიერებამდე, რადგან ხურმის ხარშვის დროს მთრიმლავი ნივთიერებები დაიშლება და თავისუფალი სახით გროვდება, ხურმა ღებულობს მწკლარტე გემოს. ოპტიმალური ვარიანტის დასადგენად ჩავატარეთ შემდეგი ცდები:

1. ნაყოფებს ირგვლივ ზოლად ჩამოვათალეთ კანი და დავჭერთ სიგრძივ რგოლებად. ჩავატარეთ ბლანშირება 15 წთ 80-85° და გადმოვწურეთ ექსტრაქტი. ექსტრაქტში მშრალი ნივთიერებების შემცველობა 6%. ნაყოფს დავასხით 50%-იანი შაქრის სიროფი და ვადულეთ 10წთ. ნაყოფმა მიიღო მწკლარტე გემო.

2. ნაყოფი დავჭერთ რგოლებად და ჩავუტარეთ ორჯერადი ექსტრაქცია. პირველი ექსტრაქცია წყლით თანაფარდობით 1:1,5, მეორე ექსტრაქცია თანაფარდობით 1:1 (ექსტრაქტები შევავრთეთ და დავაკონცენტრირეთ შემდგომ გამოსაყენებლად).

ექსტრაგირებულ ნაყოფს დავასხით 50%-იანი შაქრის სიროფი და მივიყვანეთ დუღილამდე და დავაყოვნეთ. ჩატარდა სამჯერადი კონდირება მდულარე სიროფში მოთავსებით ინტერვალით 4-5სთ. ნაყოფში მშრალი ნივთიერების 72% შემცველობამდე. ამოვავლეთ ნაყოფი და ვაწარმოეთ შრობა 60-65°C ტემპერატურაზე. 82-83% მშრალი ნივთიერების შემცველობამდე.

3. ნაყოფებს ბლანშირების გარეშე ვხარშავდით სიროფში, ღებულობდა მწკლარტე გემოს.

	<p>ჩატარდა კვლევითი სამუშაოები სასმელებში შაქრის შემცველად ხურმის ნატურალური წვენის და ხურმის სიროფის გამოყენებით.</p> <p>4.ნაყოფებს ვაჯერებდით შაქრის სიროფში 20-95°C ტემპერატურაზე 4 ჯერადი კონდირებით.</p> <p>ჩატარდა კვლევითი სამუშაოები სასმელებში შაქრის შემცველად ხურმის ნატურალური წვენის და ხურმის სიროფის გამოყენებით.</p> <p>სასმელებში ხურმის წვენის გამოყენება უზრუნველყოფს მათ გამდიდრებას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით და ნატურალური სიტკბოთი.</p> <p>დამზადდა ციტრუსოვანთა წვენები, რომლებშიც შაქრის ნაცვლად დამატკბობლად გამოყენებული გვაქვს ხურმის წვენი 20% მშრალი ნივთიერების შემცველობით. ხურმის წვენი გამოყენებული იქნა აგრეთვე ტყემლის წვენისაგან ტყემალი-ხურმის სასმელის დასამზადებლად, რომელიც ხასიათდება მაღალი გემური თვისებებით. დამზადებული იქნა საცდელი ნიმუშები. მიმდინარეობს ქიმიური კვლევა და მიღებული პროდუქტებისათვის ნტდ-ს შემუშავება.</p>		
<p>1.3.3</p>	<p>მოცვის ნედლეულის გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების შემუშავება მაღალი ბიოლოგიური ღირებულების პროდუქტების მიღების მიზნით (დასრულებული)</p>	<p>ზ.მიქელაძე</p>	<p>ნ.სეიდიშვილი ი.ჩხარტიშვილი ნ.კუტალაძე ს.პაპუნძე დ.აბულაძე ც.ბოლქვაძე</p>
	<p>აჭარის მთიანი რეგიონის ტყეებში და მიმდებარე ტერიტორიებზე მრავლადაა გავრცელებული ველურად მოზარდი მოცვი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ნედლეულს სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქციის წარმოებისათვის მცირე მეწარმეობის პირობებში.</p> <p>ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, გვარი Vaccinium შეიცავს 100 სახეობას და გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და ჩრდილოეთ ამერიკაში. ყოფილ სსრ კავშირში გავრცელებული იყო 7 სახეობა, აქედან 4 სახეობა - წითელი, ლურჯი, მაღალი ანუ კავკასიური და ჩვეულებრივი მოცვი ფართოდაა გავრცელებული აჭარაში, ზღვის დონიდან 1700-2000 მ სიმაღლეზე, ასევე სუბალპურ ზონაშიც კი. პირობითი მონაცემებით, აჭარაში შესაძლებელია დამზადდეს 1000 ტონაზე მეტი მოცვის ნაყოფი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ასორტიმენტის კვების პროდუქტების დასამზადებლად და გამშრალი სახით, როგორც დიეტური, ისე პროფილაქტიკური დანიშნულებით. არანაკლებ მნიშვნელოვანი ნედლეულია მოცვის ფოთოლი, რომლისგანაც შეიძლება დამზადდეს სპეციფიური დანიშნულების და დიეტური კვების პროდუქტები მცირე მეწარმეობის პირობებში. სადღეისოდ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ფართოდ მოიკიდა ფეხი ამერიკული მოცვის კულტურული ჯიშების გავრცელებამ, რაც მისასაღმებელია. მაგრამ, ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მოცვის როგორც კულტურული, ასევე ველური ჯიშები წარმატებით შეიძლება გავრცელდეს აჭარის მთიანეთში ნახევრად ალპურ და სუბალპურ ზონაშიც კი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისადმი არაკონკურენტულ</p>		

<p>სავარგულეზზე. კერძოდ, მომთაბარე მეცხოველეობით დასაქმებულთა (საზაფხულო იაილებზე) მიერ დაკავებულ ნაკვეთებზე.</p> <p>ველური მოცვის ჯიშების მცენარეთა საფარი გვხვდება როგორც შერეული ბუჩქნარის, ასევე ჯუჯა ბუჩქების კორომებად (მასივებად) ალპური ზონის ტერიტორიებზე. ამ ზონის ნიადაგურ-კლიმატური პირობები უაღრესად ხელსაყრელია მოცვის მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის. ლიტერატურული მონაცემებით, მოცვის მცენარეებს უკავია მთლიანი ტერიტორიის 0,2-5%-მდე. რესურსი მოცვის როგორც ველური, ისე კულტურული ფორმების გავრცელებისა ხელოვნურად ძალიან მაღალია, რაც იძლევა იმის წინაპირობას, რომ მოცვის ნაყოფის და ფოთლის ადგილზე გადამუშავების ტექნოლოგიისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მცირე მეწარმეობის პირობებში. აჭარის მაღალმთიანი ზონის მოსახლეობამ აწარმოოს კონკურენტუნარიანი მოცვის ფოთლის ჩაი და ნაყოფისგან ტრადიციული ასორტიმენტის პროდუქტები.</p> <p>ჩვენი მუშაობის მიზანს წარმოადგენდა მოცვის ფოთლისაგან სხვადასხვა სახის ჩაის წარმოების ისეთი ტექნოლოგიისა და საშუალების შემუშავება, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მთის ანუ მოცვის გავრცელების ზონაში, მცირე მეწარმეობის პირობებში თუნდაც ნახევარფაბრიკატის სახით.</p> <p>რეგიონში გავრცელებული ველური მოცვის ფოთლისაგან ე.წ. ჩაის წარმოება არსებული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ტრადიციულ ჩაის ფაბრიკებში სავსებით შესაძლებელია და ახლო წარსულში ამის მაგალითებიც მოგვეპოვება ტყიბულისა და თერჯოლის ჩაის ფაბრიკების სახით, მაგრამ ამ პროცესს ხელს უშლიდა შემდეგი გარემოებები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მეჩაიეობის ზონაში მოშლილია ჩაის მრეწველობის ინფრასტრუქტურა; 2. მოცვის ფოთლის დამზადებისა და მისი გადამამუშავებელ ობიექტებამდე მიტანა ხარისხობრივი მაჩვენებლების შენაჩუნებით მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული და თითქმის შეუძლებელია; 3. ფოთლის გადამამუშავების ტექნოლოგიების არასრულფასოვნება და წარმოებული პროდუქციის (ოჯახურ პირობებში) მცირე მასშტაბები და დაბალი ხარისხი; 4. დაბალი ეკონომიკური შემოსავლები და მოსახლეობის ნაკლები დაინტერესება; 5. მცირე საწარმოებში ტექნიკური საშუალებების და შესაბამისი ტექნოლოგიების არარსებობა. <p>მოცვის მცენარეთა გავრცელების არეალის ზუსტი მონაცემები თითქმის არ არსებობს, მაგრამ სხვადასხვა მეცნიერების მონაცემების შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აჭარის რეგიონის ტყეებში როგორც მთისწინა, ისე შიგა მთიან რეგიონებში შერეული ფორმით და კორომებად მოცვის მცენარეებს უკავიათ საერთო ფართობის 0,3-5%-მდე. აღნიშნული ფართობებიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ მცენარის შეფოთვლის ინტენსიურობას ვეგეტაციის მთელ პერიოდში, სავსებით შესაძლებელია დამზადდეს 1500-2000 ტონა მოცვის ფოთოლი, რომლის გადამამუშავებით შეიძლება მივიღოთ 250 ტონა მზა პროდუქცია მოცვის ფოთლის მწვანე ჩაის სახით.</p>
--

მოცვის ფოთლის ჩვენეული ტექნოლოგია უზრუნველყოფს ნედლეულის წარმოების ადგილზე გადამუშავებას ნახევარფაბრიკატის სახით ან სრულ პროდუქციამდე მიყვანას.

დღემდე არსებული არასრული ტექნოლოგიებით მოცვის ფოთლისაგან ღებულობენ შავ გრებილ ჩაის, მწვანე ჩაის და გამშრალი ფოთლების სახით.

ჩვენი ტექნოლოგია ითვალისწინებს I ეტაპზე ფოთლის კრეფას და ადგილზე შეორთქვლას, შრობას, შეფუთვისა და შემდგომი გადამუშავების ობიექტამდე ტრანსპორტირებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია აგრეთვე ადგილზე მივიღოთ სრულყოფილი სახის პროდუქცია მოცვის ფოთლის მწვანე (დაქუცმაცებული) და გრანულირებული ჩაის სახით.

სხვადასხვა ზონების ტყეებში შერეული სახით და ალპურ ზონაში კორომებად მოზარდი მოცვის ერთი მცენარისგან სეზონზე შეიძლება მოიკრიფოს 2 კგ-მდე მწვანეფოთოლი ისე, რომ მცენარეს არ მიადგეს ზიანი. ხელოვნურად გაშენებულ პლანტაციებში კი შესაძლებელია მივიღოთ 1 ჰა-ზე 3 ტონამდე ფოთოლი.

ჩვენს მიერ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით მოცვის სახეობების, მათი გავრცელების ზონალობის მიხედვით მოცვის ფოთოლი ხასიათდება შემდეგი ბიოქიმიური მაჩვენებლებით:

ნიმუშის დასახელება	შშრალი ნივთიერება %	მჟავი-ანობა %	ექსტრაქტულობა %	ტანიინი %	კატექინები %	ვიტამინი C მგ%
ჩვეულებრივი მოცვი (მოწითალო)	66,5	1,16	3,0	1,86	2,16	58,83
ჩვეულებრივი მოცვი (მწვანე)	62,1	1,11	9	17,76	1,62	55,9
ჩვეულებრივი მოცვი (ადგილზე ფიქსირებული 7-10 წთ)	75,3	0,94	7	12,8	2,0	39,4
ჯუჯა მოცვი	70,9	1,16	4	11,64	1,5	51,6
მოცვის ჩაი			4	12,5	1,9	

სხვადასხვა სახეობის მოცვის ფოთლის და მისგან მიღებული საბოლოო პროდუქციის (ჩაი) ქიმიური მაჩვენებლები

ნიმუშის დასახელება	შშრალი ნივთიერება %	ექსტრაქტულობა %	ტანიინი %	კატექინები %	პოლიფენოლური ნაერთები მგ %	მჟავი-ანობა %	ვიტამინი C მგ%
--------------------	---------------------	-----------------	-----------	--------------	----------------------------	---------------	----------------

1. მოცვის ფოთოლი მოწითალო შეფერილობით (ფიქსაცია ჩაუტარდა ლაბორატორიაში მოკრეფიდან 24 საათის შემდეგ)	66,5	30,0	18,6	2,15	2041,7	1,15	58,33
2. მოცვის ფოთოლი მწვანე შეფერილობით (ფიქსაცია ჩაუტარდა ლაბორატორიაში მოკრეფიდან 24 საათის შემდეგ)	74,8	50,0	12,8	2,0	1666,7	1,16	23,18
3. ჩვეულებრივი მოცი მწვანე დუყებით (ფიქსაცია ჩაუტარდა ლაბორატორიაში მოკრეფიდან 24 საათის შემდეგ)	62,1	–	17,76	1,62	2229,2	0,11	55,9
4. გუჯა მოცვის ფოთოლი (ფიქსაცია ჩაუტარდა ლაბორატორიაში მოკრეფიდან 24 საათის შემდეგ)	70,9	40,0	11,64	1,55	1979,0	1,16	91,16
5. მოცვის მწვანე ფოთოლი (ადგილზე 7-წუთიანი ფიქსაციით)	75,3	–	12,8	2,0	2069,4	0,94	39,4
6. ადგილზე ფიქსირებული მოცვის მწვანე ფოთლის შემდგომი შრობა და დაფქვა	–	–	12,5	1,9	5760,0	–	1,6
7. მოცვის შავი ჩაი ჰიათურის ჩაის ფაბრიკიდან	–	–	2,1	2,3	–	–	–
8. მოცვის გრანულირებული შავი ჩაი (ფოთოლი შენახული მაცივარში 48 სთ, შემდგომი დაქუცმაცება, 0,5-საათიანი ფერმენტაცია, შრობა ლაბ. პირობებში	–	–	3,4	–	–	–	–
9. მოცვის გრანულირებული შავი ჩაი. ფოთოლი შენახული მაცივარში 48 სთ, შემდგომი დაქუცმაცება, 0,5-საათიანი ფერმენტაცია, შრობა ლაბ. პირობებში	–	–	5,8	–	–	–	–
10. მწვანე ჩაი „სულიკო“. ადგილზე ჩატარებული 7-წუთიანი ფიქსაციით და შრობით. შემდგომი გაშრობა, დაფქვა	–	–	14,5	6,6	–	–	–
11. მწვანე ჩაი „კვირიკის ფაბრიკა“	–	–	9,8	6,3	–	–	–
12. მწვანე ჩაი „ოზურგეთი“	–	–	16,8	8,5	–	–	–
13. გრანულირებული მწვანე ჩაი დამზადებული ჩვენი ტექნოლოგიით ლაბ. პირობებში	–	38,2	12,06	6,8	–	–	–

შემოდგომაზე დამზადებული მოცვის ფოთოლი

ნიმუშის დასახელება	მშრალი ნივთიე რება %	ექსტრაქ - ტულობ ა %	ტანინი %	კატე- ქინები %	პოლიფე- ნოლური ნაერთებ ი მგ %	მჟავი - ანობა %	ვიტ ა- მინ ი C მგ%
1.მოცვის ფოთოლი მოკრეფილი სექტემბრის ბოლოს (მოცვის ნაყოფის მოკრეფიდან 25 დღის შემდეგ) ჩაიდანში დასაყენებელი ფრაქცია		31,5	9,3	2,6	2750,0	3,1	-
2.მოცვის ფოთოლი მოკრეფილი სექტემბრის ბოლოს. ფიქსირებული 3 წუთის განმავლობაში	-	35,3	13,4	3,5			
3.მოცვის ფოთოლი მოკრეფილი სექტემბრის ბოლოს. ფიქსირებული 3 წუთის განმავლობაში . დაფქვილი.		32,8	13,4	3,5			
4.მოცვის ყვითელი ჩაი		33,5	11,6	3,2			
5.მოცვის მწვანე ჩაი		32,8	14,5	5,5			
6.მოცვის შავი ჩაი		29,4	4,07	1,07			
მოცვის ფოთლის ქიმიური ანალიზი მგ/ლ							

ლუმინი - Al	12,1
დარიშხანი - As	0,0208
ბორი - B	4,38
ბარიუმი - Ba	-1,9
ბერილიუმი - Be	0,0002
კალციუმი - Ca	263
კადმიუმი - Cd	0,0950
კობალტი - Co	0,0076
ქრომი - Cr	0,265
სპილენძი - Cu	0,0154
რკინა - Fe	0,227
კალიუმი - K	4190
ლითიუმი - Li	0,269
მაგნიუმი - Mg	21,5
მანგანუმი - Mn	0,0878
მოლიბდენი - Mo	0,0029
ნატრიუმი - Na	891
ნიკელი - Ni	0,0102
ფოსფორი - P	-0,276
ტყვია - Pb	-0,0213
სტიბიუმი - Sb	0,0798
სელენი - Se	2,96
სილიციუმი - Si	82,7
ტიტანი - Ti	-0,0868
ვანადიუმი - V	-0,0847
თუთია - Zn	-0,557
იტრიუმი - Y	5181

საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა მოცვის ფოთლის მწვანე ჩაის მიღების ტექნოლოგიური პროცესების დაზუსტება და ტექნიკური საშუალების გამოცდა, რომლის მიზანია მოცვის ფოთლის გადამუშავება უშუალოდ მისი გავრცელების ადგილზე. ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს: მოცვის ფოთლის კრეფას; მოთუთქვას (ფერმენტების ინაქტივაციას); შრობას; დაფქვა-დაფასობას. ტექნოლოგიური პროცესი სრულად არის ასახული ტექნიკურ ინსტრუქციაში. აგრეთვე ჩვენს მიზანს წარმოადგენდა გრანულირებული მწვანე მოცვის ჩაის მიღების ტექნოლოგიის და ტექნიკური პარამეტრების დაზუსტება.

გრანულირებული მწვანე მოცვის ჩაის ტექნოლოგიური სქემა ითვალისწინებს ფოთლის დაორთქვლას 10 წთ-ის განმავლობაში, გრანულირებას და შრობას 80 გრადუს ცელსიუსზე და დაფასობას. აღნიშნული ტექნოლოგია სავსებით ხელმისაწვდომია მცირე საწარმოთა პირობებში გრანულირებული მწვანე მოცვის ჩაის მისაღებად. გაზაფხულზე

მოკრეფილი ფოთლის ინაქტივაციისათვის საუკეთესო მაჩვენებელი მივიღეთ 3-წუთიანი დაორთქვლის დროს, ხოლო შემოდგომის ფოთლისათვის საჭიროა 10-წუთიანი ფოთლის დაორთქვლივს შემდეგ ხდება მისი გატარება გრანულატორში, რაც საშუალებას გვაძლევს პრაქტიკულად განვახორციელოთ ფოთლის გრების პროცესი და მივიღოთ გამრობის შემდეგ გრანულირებული მწვანე ჩაი. მიღებულ გრანულებს თან ახლავს წვრილი ნაწილები მცირე რაოდენობით 2-5%, ამიტომ საჭიროა მისი გაცრა, ხოლო გამონაცერი წვრილი ფრაქცია გამოიყენება ერთჯერად პაკეტებში დასაფასოებლად. დარჩენილი მასა მიზანშეწონილია შეიფუთოს მუყაოს მაგარ ტარაში.

მოცვის ფიქსირებული ფოთლისა და გრანულირებული მწვანე ჩაის ბიოქიმიური მაჩვენებლები

ნიმუშის დასახელება	ექსტრაქტული ნივთიერებები %	ტანინი %	კატექინები %	მჟავიანობა %
მოცვის ფიქსირებული დაფქვილი ფოთოლი	30,7	7,9	1,4	6,7
მოცვის გრანულირებული მწვანე ჩაი	35,0	7,2	1,8	7,2

pH
3,6
3,6

მცირე მეწარმეობის პირობებში ველური მოცვის ფოთლისაგან 5 ტონა მწვანე ჩაის დამზადებისათვის ჩვენს მიერ გაანგარიშებული იქნა შემდეგი მაჩვენებლები:

№	ხარჯების დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი ლარი	ჯამი ლარი
1	ნედლეულის შესყიდვა	კგ	30000	0,80	24000
2	ნახევარფაბრიკატის დამზადება	კგ	5000	0,30	1500
3	დასაფასოებლად მომზადება	კგ	5000	0,1	500
4	მუაოს კოლოფების შესყიდვა	ცალი	140000	0,14	19600
5	თერმო შეწებვის საშუალების შესყიდვა	კგ	500	17	8500
6	კოლოფებში დაფასოება	ცალი	140000	0,15	21000
7	ელექტროენერჯის ხარჯი	კვტ	7000	0,16	1120
8	წინამოსამზადებელი ხარჯები				9000

9	გაუთვალისწინებელი ხარჯები				1000
	სულ				86220

პროდუქციის თვითღირებულება საბაზრო მოთხოვნილებიდან და იდენტური ფასებიდან გამომდინარე, წარმოების მაღალ რენტაბელურობაზე მიგვანიშნებს, ასევე შემდგომში წინასწარი გაანგარიშებით და მარკეტინგული კვლევებით გამოვლინდა, რომ ბაზარზე გასაყიდი ფასი მოცვის ჩაიზე შეიძლება იყოს 1 კგ დაფასოებულ პაკეტებში 37,5 ლარი. 1 კგ ხმელი მოცვის ფოთლის ნახევარფაბრიკატისაგან მზადდება 25 კოლოფი, თითოეულში ერთჯერადი მოხმარების პაკეტით. გარდა ჩაისა, წარმოების განვითარების შემდგომ ეტაპებზე შეიძლება დამზადდეს სხვადასხვა სახის პროდუქტები, უალკოჰოლო სასმელები, ექსტრაქტები, სიროფები და ა.შ. აქედან გამომდინარე, ამ ჯგუფის პროდუქტების ფასები შესაბამისად დიფერენცირებული იქნება და შედარებით მაღალი. პროდუქციის რეალიზაცია მოხდება ხელშეკრულებით მიმწოდებელსა და რეალიზატორს შორის, სადაც გათვალისწინებული იქნება მონაწილე მხარეების ფინანსური ინტერესები. მზა მოცვის ჩაის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა ადგილობრივი ბაზრის პირობებში შეადგენს 500 ტონას. შესაძლოა მისი გატანა მოსაზღვრე ქვეყნებშიც.

პროექტის აქტუალობა და სიახლე:

1. ველური მოცვის ფოთლის ბუნებრივი რესურსების მასშტაბურობა, მისგან წარმოებული ჩაის და სხვა გადამამუშავების პროდუქტების მრავალფეროვნება, ქვეყნის შიგა და გარე ბაზრებზე მოთხოვნის არსებობა, წარმოების რენტაბელობა და რაც მთავარია დივერსიფიკაციის პოტენციალი;
2. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო პროგრამების გაფართოება და მათი რეალური შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა;
3. მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია, ახალი ადგილობრივი ნედლეულის ათვისების სტიმულირება, კონკურენტუნარიანი ეროვნული პროდუქციის წარმოება და ბაზარზე დივერსიფიკაცია;
4. ზონალური კლასტერების (კოოპერატორთა გაერთიანება) ჩამოყალიბება;
5. მცირე მეწარმეობის განვითარება და საწარმოო ინფრასტრუქტურის რაციონალური გაადგილება;
6. წარმოების სანედლეულო ბაზართან მიახლოება და ნედლეულის ადგილზე გადამამუშავება ხარისხობრივი თვისებების მაქსიმალური შენარჩუნებით;
7. სამამულო წარმოების ტექნიკური საშუალებების გამოყენება;
8. მაღალმთიან ზონებში ველური მოცვის ნარგავების პლანტაციების გაშენება, რაც აჭარის მცირემიწიანობის პირობებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მიწათსარგებლობის გაფართოების და ნიადაგის დაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით;
9. პროექტი შეიძლება სამაგალითო გახდეს საქართველოს სხვა რეგიონებისათვის;

	<p>10. შესაძლებელია ზოგიერთი უნიკალური ჯიშის ადგილობრივი ველური მოცვის ნერგების გამოყვანის ორგანიზაცია მისი კულტურაში შემოტანის მიზნით;</p> <p>ჩვეულებრივი ანუ კავკასიური მოცვის გავრცელების არეალში შესაძლებელია გაშენდეს ამერიკული მოცვის ნარგაობები სპეციალურად სანაყოფე ან საფოთლენედლეულის მისაღებად, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სუბტროპიკული ზონის სავარგულების გამოთავისუფლებას ამ მცენარეთა ნარგაობებისგან და მათ ადგილზე სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების გაშენებას;</p> <p>11. შეიქმნება წინაპირობები ველური მოცვის კულტურაში გაშენების აგროტექნოლოგიების დასახვეწად მეცნიერული კვლევის და სასწავლო პროგრამების განხორციელების სახით.</p> <p>დასკვნა:</p> <p>ჩვენს მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევებისა და ექსპერიმენტული საკონსტრუქტორო სამუშაოების საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს მიზნობრივი პროგრამა აჭარის ტყეებში გავრცელებული მოცვის და სხვა სამკურნალო მცენარეების მცირე საწარმოს პირობებში გადამუშავების ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შექმნისა და ფართო მასშტაბით დანერგვის თაობაზე ფერმერული გაერთიანებების ბაზაზე.</p> <p>პროგრამის განხორციელების საფუძველია არატრადიციული ნედლეულის გადამუშავება ადგილზე ხარისხობრივი მაჩვენებლების მაქსიმალური შენარჩუნებით და ტექნოლოგიური პროცესების სიმარტივე, იაფი ენერგორესურსი (შეშა, ფიჩხი, მზის ენერჯიას) გამოყენებით. მთის ალპური და მთისწინა რეგიონების მოსახლეობის დასაქმება და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, პროექტის განზოგადება საქართველოს სხვა რეგიონებში და წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი ზრდის საფუძველზე ბაზრების ათვისება.</p>
--	---



სურ.1. მოცვის ფოთლის ფიქსაციის დანადგარი



სურ.2. დანადგარის მუშაობის პრინციპის გაცნობა ფერმერებთან



სურ.3. აჭარის მთიან ზონაში მოცვის გავრცელებისათვის გამოსაყენებელი სავარგული



სურ.4. წითელი მოცვის ნარგაობა მთაში



სურ.5. ჯუჯა მოცვის ნარგაობა



სურ.6. კავკასიური მოცვის ნარგაობა (ბუნებრივი პლანტაცია)



სურ. 7. წითელი მოცვი



სურ. 8. მოცვის ფოთლის ფიქსაცია



სურ. 9. ფიქსირებული მოცვის ფოთლის შრობა ბუნებრივ პირობებში მოცვის გადამუშავების ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია მოცემულია დანართების სახით.

	<p>ეტაპი 1.4. აჭარის სუბტროპიკულ ზონაში მეციტრუსეობის რეაბილიტაცია-განვითარების მიზნით ნაყოფების წარმოება-გადამუშავების და შენახვა-ტრანსპორტირების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება</p>	<p>ხელმძღვანელები: ზ.მიქელაძე</p>	<p>შემსრულებლები: ნ.კუტალაძე გ.პაპუნძიძე ნ.კიკნაძე ა.დევაძე ი.ჩხარტიშვილი ს.პაპუნძიძე ნ.სეიდიშვილი დ.აბულაძე თ.გოგოლიშვილი ი ც.ბოლქვაძე შ.ლომინაძე ო.შაინიძე ა.მურვანიძე ნ.ნაკაშიძე</p>
	<p>1.4.1. შემუშავდეს ციტრუსოვანთა ბაღების ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების რეკომენდაციები მინერალური, ორგანული და ბიოსასუქების ოპტიმალური ნორმებისა და ფორმების გამოყენებით.</p>		
	<p>1.4.2. შემუშავდეს მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენების რაციონალური მეთოდები და საშუალებები</p>		
	<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია</p>		

მეციტრუსეობა იყო და აუცილებლად უნდა დარჩეს საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად, რის საფუძველსაც იძლევა წლების მანძილზე მაღალკვალიფიციურ დონეზე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოები ციტრუსოვანთა აგრობიოლოგიური თავისებურებების და რეგიონების გარემო ფაქტორების გათვალისწინებით. ყოფილ სსრ კავშირში საქართველო იყო ციტრუსოვანთა წარმოების ერთადერთი ძირითადი რეგიონი, რომლის წილად მოდიოდა ციტრუსოვანთა საერთო ბაღების 99,7%, ხოლო წარმოებული პროდუქციის 99%.

ციტრუსოვანთა ნაყოფისაგან წარმოებული საკონსერვო პროდუქციის 98% საქართველოზე მოდიოდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დაგეგმილი იყო ქვეყანაში 2000 წლისთვის 700 ათასი ტონა, ხოლო 2010 წლისთვის - 800 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფების წარმოება. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ნამდვილად გააჩნდა ასეთი რაოდენობით ციტრუსოვანთა ნაყოფების არა მარტო წარმოების, არამედ გადამამუშავება-რეალიზაციის პოტენციური შესაძლებლობები.

1985-1990 წლებიდან ქვეყანაში მომდინარე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა მართალია ძირეულად შეცვალა ადრე დამკვიდრებული სახალხო მეურნეობის მთლიანი სისტემა, მაგრამ ადამიანთა მოთხოვნილება ამ მეტად სასარგებლო ხილზე უცვლელია და მსოფლიოს რეგიონალურ კრილში საქართველო კვლავაც დარჩება სუბტროპიკული ხეხილოვნების ძირითად მიმწოდებელ ქვეყნად და არ შეიძლება უარი ითქვას ამ მეტად სტრატეგიული დარგის პოტენციალის შენარჩუნებაზე და მის შემდგომ განვითარებაზე. აღნიშნულის საფუძველს იძლევა საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ციტრუსოვანთა ნაყოფის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები და მისი ფართო მოხმარების ბაზრების სიახლოვე. თუკი წამოგვიყენებენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მოთხოვნებს და მსოფლიო მასშტაბით ციტრუსოვანთა წარმოების სადღეისო მდგომარეობას (იწარმოება 74 მლნ. ტონა, რაც საერთო მოთხოვნას 20 მლნ. ტონით აჭარბებს) იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ საქართველო ვერ გაუძლებს ამ მიმართულებით შექმნილ მძაფრ კონკურენციას. მაგრამ ეს არ იქნება სწორი მიდგომა, რადგანაც მოხმარების ბაზრების სიახლოვე სწორედ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ანიჭებს უპირატესობას ჩვენს ქვეყანას. მართალია სადღეისოდ ციტრუსოვანთა ნაყოფების სამრეწველო გადამამუშავების პროდუქციის თვალსაზრისით უპირატესობა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს ენიჭება, მაგრამ ნედლად წარმოება-რეალიზაციის თვალსაზრისით საქართველოს უპირატესობა უდაოა. რა თქმა უნდა ყოველივე არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ არ ვიზრუნოთ წარმოებული ნაყოფების სასაქონლო სახის გაუმჯობესებაზე მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მაღალ დონეზეა შესწავლილი ციტრუსოვანთა წარმოების აგროტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებები, წლების მანძილზე კვლავ შესასწავლია ეკოლოგიური და ოროგრაფიული ფაქტორების გავლენა ციტრუსოვანთა ნაყოფების შენახვის უნარიანობაზე და მის ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. შესასწავლია აგრეთვე წარმოებული ნაყოფების

დიფერენცირება ზონალობის მიხედვით დანიშნულებისამებრ გამოყენების თვალსაზრისით. გარდა აღნიშნულისა, წლების მანძილზე აგროსექტორში სისტემური ცვლილებების შედეგად, მოსახლეობის ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ მეციტრუსეობა ყოფნა-არყოფნის წინაშე დააყენა. და სადღეისოდ მიუხედავად ხელისუფლების მიდგომებისა, დარგი მთლიანობაში მომაკვდავის სტადიაშია. და არც უახლოეს მომავალში ექნება მას პერსპექტივა, თუკი ძირეულად არ შეიცვალა წარმოება-რეალიზაციის და გადამუშავების ერთიანი სისტემა, რაც რიგი საკითხების ღრმა მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების თემატიკა, რომელიც ითვალისწინებს ციტრუსოვანთა ნაყოფების წარმოების, სასაქონლო და სამრეწველო გადამუშავების, შენახვა-რეალიზაციის ეფექტური ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების შემუშავებას და მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია კონკრეტული ზონის ფერმერული მეურნეობის ციტრუსოვანთა ბაღების ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებით, მინერალური, ორგანული სასუქების და ბიოპრეპარატების გამოყენების, მცენარეთა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენების, წარმოებული ნაყოფების მოკლე და ხანგრძლივი დროით შენახვის ტექნოლოგიებისა და საშუალებების შემუშავებით, სასაქონლო გადამუშავების პროცესში სხვადასხვა სახის კონსერვანტებისა და დამცველი აპკის წარმომქმნელი პრეპარატების გამოყენებით, კლიმატური, პირობების მონაცემების საშუალებით ნაყოფების დანიშნულებისამებრ გამოყენების რეკომენდაციების შემუშავებით.

დასახული მიზნების მისაღწევად ვიყენებთ ლაბორატორიულ, საწარმოო და მინდვრის ცდების მეთოდებს.

კვლევები ტარდება ინსტიტუტის სამეცნიერო ლაბორატორიებში, საცდელ-ექსპერიმენტულ ბაზებზე და მოიცავს აჭარის სუბტროპიკულ ზონას.

კვლევით საქმიანობაში ჩართული არიან ინსტიტუტის აგრარული მიმართულების მეცნიერ თანამშრომლები და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

მიღებული შედეგები დაინერგება მეციტრუსეობის ზონაში მოქმედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.

მიმდინარე საანგარიშო წლის ეტაპი 1.4.1. შემუშავდეს და დაინერგოს ციტრუსოვანთა ბაღების ნაყოფიერების ამაღლების რეკომენდაციები მინერალური, ორგანული და ბიოსასუქების ოპტიმალური ნორმებისა და ფორმების გამოყენებით

ეტაპი 1.4.2. შემუშავდეს მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენების რაციონალური მეთოდები და საშუალებები.

განყოფილების კომპლექსური თემატური გეგმიდან გამომდინარე, ციტრუსოვანთა სტაციონალურ მინდვრის ცდებში გამოცდის მიზნით ჩავრთეთ ბიოპრეპარატები: ბაქტოფერტი; ბიტოქსიზაცილინი; ბაქტოფიტი CK და გაუფსინი.

ცდები დაყენებულია შემდეგი სქემით:

1. NPK-აგროწესებით + ბაქტოფერტი 300 გ/1 ძირ მანდარინზე + გაუფსინი (შესხურებით 240 მლ×12 ლ წყალში)
2. ბაქტოფერტი 300 გ/ძირზე + გაუფსინი (240 მლ×12 ლ წყალში) შესხურებით
3. NPK-აგროწესებით + ბიტოქსიბაცილინი (6% ხსნარი) შესხურებით
4. NPK-აგროწესებით + ბაქტოფიტი-CK (6% ხსნარი) შესხურებით

ცდები ტარდებოდა 6-ჯერადი განმეორებით. განმეორებაში - 3, ხოლო ვარიანტში -18 მცენარეა. მიწერალურ სასუქად გამოვიყენეთ რუსული წარმოების კომპლექსური სასუქი NPK, რომელიც შეიცავს 15-15% შესაბამის ნივთიერებას. შევიტანეთ 160-160 გრამი აზოტი, ფოსფორი და კალიუმი, რაც აგროტექნიკური ნორმის ნახევარს შეადგენს. იმ მოსაზრებით, რომ დანარჩენი დანაკლისი ბიოპრეპარატებს უნდა შეევესო. ცდის დაყენებამდე ავიღეთ ნიადაგის ნიმუშები 0-40 სმ სიღრმეზე და საცდელ მცენარეთა ფოთლები და მათში განვსაზღვრეთ სრული აგროქიმიური მაჩვენებლები. ასევე ნიადაგის და ფოთლის ნიმუშებს ვიღებდით შემდგომში თვეში ერთჯერ და ვსაზღვრავდით აგროქიმიური მაჩვენებლებს. ცდის პერიოდში კომისიური წესით ოთხჯერ ჩატარებული იქნა მავნებელ-დაავადებათა გავრცელების მონიტორინგი.

სასუქები შევიტანეთ ცდის სქემის მიხედვით 10.04.2017 წ. სულ ბიოპრეპარატები შევასხურეთ 10.05; 20.06; 20.07; 20.09 ცდის დაწყებამდე 03.08.2017 ნიადაგი ხასიათდებოდა შემდეგი აგროქიმიური მაჩვენებლებით

№	აღების სიღრმე	pH		საერთო ჰუმუსი %	საერთო აზოტი %	ჰიდროლიზ. აზოტი მგ.კგ	შესათვისებელი		შთანთქ. ფუძეების ჯამი
		წყლის გამო-ნაწ.	KCl გამო-ნაწ.				კალიუმი მგ/100 გ	ფოსფორი მგ/100 გ	
1.	0-40	6,0	5,8	1,6	0,8	140	0,5	22,0	0,45
2.	0-40	6,2	5,9	1,5	0,7	138	0,6	20,0	0,49

ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლები ცდის პერიოდში 18.06.2017

№	ნიმუშ. აღების სიღრმე	pH		საერთო ჰუმუსი-სი %	საერთო აზოტი-ტი %	ჰიდროლიზ. აზოტი მგ.კგ	შესათვისებელი		შთანთ. ფუძეების ჯამი
		წყლის გამო-ნაწ.	KCl გამო-ნაწ.				კალიუმი მგ/100 გ	ფოსფორი მგ/100 გ	
1.	0-40	6,0	5,8	1,8	0,9	148	23	25	0,14
2.	0-40	6.3	6.1	1.7	0.7	140	21	26	0.16
3.	0-40	6.4	6.0	1.6	0.8	145	18	23	0.14
4.	0-40	6.3	6.0	1.1	0.5	138	18	22	0.12

ნიმუშები აღებული 21.07.2017

№	ნიმუშ.	pH				შესათვისებელი	შთანთქ.
---	--------	----	--	--	--	---------------	---------

	აღების სიღრმე	წყლის გამონაწ.	KCl გამონაწ.	საერთო ჰუმუსი %	საერთო აზოტი %	ჰიდროლიზ. აზოტი მგ.კგ	კალიუმი მგ/100 გ	ფოსფორი მგ/100 გ	ფუძეების ჯამი
1.	0-40	6,9	6,0	1,1	0,4	133	6,1>	30,0	0,17
2.	0-40	6,9	6,3	1,3	0,5	132	6,5>	22,0	0,16
3.	0-40	6,3	6,0	1,3	0,6	140	3,5საშ.	25,0	0,16
4.	0-40	6,3	6,0	1,6	0,5	135	9,5ძლ. მაღალი	12,0	0,24

შენიშვნა: K₂O განისაზღვრება მასლოვას მეთოდით აპარატზე სოილ-ტესტი, ამიტომ აღნიშვნები > მაღალი, საშუალო, ძლიერ მაღალი.

ნიმუშები აღებული 27.10.2017

№	ნიმუშ. აღების სიღრმე	pH		საერთო ჰუმუსი %	საერთო აზოტი %	ჰიდროლიზ. აზოტი მგ.კგ	შესატვისებელი		შთანთქ. ფუძეების ჯამი
		წყლის გამონაწ.	KCl გამონაწ.				კალიუმი მგ/100 გ	ფოსფორი მგ/100 გ	
1.	0-40	2,0	6,6	1,2	0,6	170	3,7	12,0	0,8
	0-40	6,3	6,0	0,7	0,5	170	3,0	45,0	1,0
2.	0-40	6,9	6,5	0,9	0,7	200	2,0	15,0	1,0
	0-40	6,2	5,9	0,8	0,7	220	2,5	40,0	0,9
3.	0-40	6,2	6,0	0,7	0,5	176	2,5	45,0	1,0
	0-40	6,8	6,3	0,6	0,4	122	2,7	45,0	0,65

შენიშვნა: ამჯერად K₂O მაჩვენებელი აღებულია აპარატით სოილ-ტესტი. მაჩვენებელი 3,0-3,7 - მდიდარი; 2,0-2,7 - საშუალო; <2 - ღარიბი.

მანდარინის ფოთლის ანალიზის შედეგები

I განსაზღვრა 18.06.2017

ნიმუშის № (ვარიანტი)	საერთო აბსოლუტურად მშრალზე გადაანგარიშებით			ნაცარი %
	N%	P ₂ O ₅ %	K ₂ O%	
1	0,7	0,3	0,7	7,2
2	0,4	0,3	0,8	8,0
3	0,24	0,2	1,3	7,5
4	0,45	0,4	1,3	8,0

მანდარინის ფოთლის ანალიზის შედეგები

II განსაზღვრა 21.07. 2017

